


საქართველო
საბჭოთაო



სკანდინავია № 10 სპრინტი ფ. 40კ. 1934 წ.

ამ სხვის არ თხოვს, თვით ახდენს
შას უცნობს აიკუმას,
რა მიზანი ღიადი
უხერხავს აღტაცებას!



სცხს ამაოდ ხელს უწყდის!
"ამათო" კრებულო,
"იმ ძიხვან" სულეველა
რჩება ვაწუბილიბოლო!

ვასო და სევა

ვირ მამვეჯე



სიყმაწვილეში სიყვარულზე არ მიმდერია, ლექსი, ან პროზა ამ თემაზე არ მიწერია: ამისთვის მაშინ თავისტეხა არ მჭირდებოდა, შემისრულებდა ცელქი რასაც დამპირდებოდა!

მაგრამ არ მიკვირის გაზაფხულზე თუ რომ მგოსანი, თუნდაც არ იყოს მომღერალი ტკბილ-ჰანგოსანი! ჭიკტიკს დაიწყებს სიყვარულის და ეშხის ჰანგზე, ახალგაზრდური აღტაცებით მომართულ ჩანგზე.

სიამოვნებით ავყვებოდი მეც მის ფეხისხმას, მაგრამ ცოლისგან ვეროდები საყვედურის თქმას; რაც არ ვუმტკიცო, სულერთია არ დამიჯერებს, რომ ეშხი მისი, სიყვარულით ეხლაც მამღერებს!

გამოვიცვალე ამიტომ სჯობს ისევ მე თემა, თორემ ცოლისგან უსათუოდ მომელის ცემა! გაზაფხულიც ხომ წინანდურად სისხლს აღარ მივუნებს, ამიტომ ეხლა ჩანგი ჩემი უმღერს სხვა მიზნებს.

წავიდა ის დრო, როცა შველის ნუკრივით ვბტოდი, გზის სივიწროეს, აღმართს, დაღმართს სულაც არ ვგრძობდი, ცა ქუდად თავზე არ მიმაჩნდა, მიწა ქალაქნათ, ტურფა ქალები მე მეტრფოდენ და არა მე შათ!

ეხლა ბილიკი, აღმართი, თუ დაღმართი გრძელი უნდა ვანვლო მე შესვენებით, ნაბიჯით ნელით, ამიტომ გზათა სამშართველოს მინდა მივმართო, რომ ჩვენი გზები გააკეთოს მან სწორი, ფართო!

როცა შემხვდება მე ვარება ამ შარა-გზაზე, არ მაწუხებდეს განუწყვეტლივ დარდი იმაზე, რომ მოვიტეხავ კისერს, წვიგს, ან შუბლს ვახლი ქვაზე, ან მოქანტული მივანებებ თავს ფიქრს წინსვლაზე!

თუ რომ მანქანით მომიხდება განავარდება, იმედი მქონდეს ხრამში არსად გადავარდება, ცხენით, ურემით, თუ ბორბლიან ველოსიპედით მივისწრაფოდე—აგრეთვე იმ რწმენით, იმედით!

ამ წარმატებას რომ მიადევნებს ქურდაძე ვასო, შემომიკურთხოს, თუ შესაფრად არ დაგვასო, მაგრამ, თუ არ სურს, რომ ის მოხვდეს ნიანგს ბრჭყალებში, ღრმა მორიდებით შესცქეროდეს იმას თვალეში!

ყურში იღუმლად ერთი რამ გვაქვს ჩვენ აქ სათქმელი: უნდა შოართვას ვასომ ნიანგს მსუყი საქმელი, არ გაართულოს, არ გადასდოს მან შორს ეს საქმე თორემ მოელის ნიანგისგან უცილოდ საფრთხე!

ამ საიდუმლო ამბავს ქვეყნად იგი ნუ მოსდებს, მან დაჩქარებით გადახედოს კულტურულ ფონდებს და იქიდან რამ წვლილი უნდა ბლომად გამოჰყოს ამით, შემდეგ შეუძლია მან იამაყოს!

ამ წვლილს მოვიხმართ შესაფერად, როგორც წესია: თანამშრომლები ფულისათვის თავზე გეცხმინან, ვიცით ქანქარა: მით აღუძრავთ უფრო მეტ ხალისს, ცხადია, შემდეგ ჩვენ უკეთესს მივიღებთ ხარისხს!

— რომ შარა-გზებზე დავიხატონ კარიკატურა: ურემი, ცხენი, ნანქანა, თუ შირბის ზედ ტურა, — რაიც აღნიშნავს მიღწევებს, თუ გარღვევებს მართლა, რომ დაგვანახონ ყოველივე გარკვევით, ნათლად!

მაგრამ შარა-გზა რისთვის გვინდა სწორი და ფართო, თუ არ გვექნება საზიდავი ზედ ბლომად ტვირთი? უნდა გვახსოვდეს ამიტომ ჩვენ ყოველი წუთი, რომ საწყობებში ცარიელი არ გვეგდოს ყუთი!

თქვენ მოიგონებთ ეხლა, ალბად, კოპოერატივს, მაგრამ მას შემდეგ ნომერში ვსცემთ შესაფერ პარტიეს! აქ მიმოხილვა გაუკეთოთ სამტრედიუს გეგმად: რომ ის ღირსია ყურადღების—ეს ხომ ცხადია!

თუ რომ ვასომ გზა, სევამ ტვირთი უნდა ამზადოს, მაგრამ ეს საქმე არ მიანდოს მან არამზადებს, რომლებიც სამტრედიუს ბუზებივით გარს ეხვევიან, თორემ თითებზე კბენა შემდეგ იქნება გვიან!

კახურ ღვინოებს უნდა მოვლა მეტი სიფრთხილით, საცქერო რამეს ბოთლის ძირში ხშირად იხილავთ! ძველებურ კახურს თუ კი გვინდა ღვინო რომ ჰგავდეს, ხამს, რომ მომღელი მუყაითი, ერთი ილი ჰყავდეს!

მაგრამ რათ გვინდა მარტო ღვინო, თუ არ გვაქვს მწვადი ქორფა ბატკანის! უდაბნოში ერთხელ რომ ვწვავდით, მახსოვს! კოსტაოე თუ ში თავზე დაგვტრიალებდა, ფიჩხისგან ალი მზიარული რომ ბრიალებდა!

არ ვიცი, როგორ ჩაატარე შენ ამ წელს დოლი, აღარ მცემია ცხვირში ფიჩხის ცეცხლისგან ბოლი! არც გაიურ-არხის მერგო წილად ტკბილი ყურძენი, რაც ძლიერ მიყვარს და იმის დარღს ძლიერს გაუძელო!

უმწვადოთ მხოლოდ დაიღვებ ყვარელის ღვინო, მაგრამ მე მისი უსმელობა როგორ ვითმინო, სანამ იქ ვაზი, შენგან მხოლოდ შარშან დარგული, გამოიხსამდეს მტყენებს ბლომად,—არ ითმენს გულამ!

შენ არ იფიქრო დამაფიქვდა შირაქის ველი, თუმც იქ არ იცის შემოდგომის მდიდარი რთველი, მაგრამ იქიდან სულ სხვა რამე საამოს ველი, ყოველდღე მიტომ მე იქითკენ მიჭირავს თვალი!

ამ თვის ბოლომდე იქით წასვლა თუ მოგიხდება, შენთან გზავრობა, ეს იცოდე, მეც მომიხდება! შირაქის ჰავა აპრილშია მეტად ნაქები, კიდევ არ არის ჯერ იქ სიცხე-პაპახაქები.

წინანდლის მამულს ელბაქიძე განაგებს, ანგი, წინანდელი სულ აღარ არის ეხლა იქ პანგი! შემოდგომაზე განაგებდა ვინც რომ მუკუზანს, თუ იქვე დამხვდა—მას დავარტყამ თავში მუკუზალს!

არ გამომჩრება მე ვარციხე, ხანი, ბაღდადი, ეს მამულები იქნებიან მით უფრო ნაღდი, თუ ყვირილაზე ვასასვლელი ექნებათ ხიდე, ვასო აკეთებს, მაგრამ ცოტა შენც წაეხიდე!

სხვა მამულებსაც კარგად უფლი—ეს მე მრწამს, სევა; წელს საქმეები წარმატებით კვლავ უფრო წავა, მაგრამ ნიანგი შარშანდულად არ მოიძილო, თორემ მარად ეაშს მას მზადა აქვს საცემად ურო!..

შეჯიბრებაში ჩვენ ჩავაბით ვასო და სევა: ვინ ვის გაუსწრებს, ჩამორჩება, თუ დაეწევა, რას გააკეთებთ თქვენ ამ წელში, თუ რას წახდენთ. ამის შესახებ შემოწმებას ჩვენ კვლავ მოეხდინთ!...

ს. თ.—ი.ა.

ინტერვიუ

შველა ჩელიუსკინელი გადაჩენილია! საბჭოთა მფრინავებმა
გმირობის სასწაული მოახდინეს („პრავდა“)



მე დიდი გამარჯვების ნიშნად ვაწყობ ინტერვიუს,
სულ პირველად მინდა ვნახო რომის პაპი—მამა პიუს.
მე მოკითხვის ბარათები მასთანმქონდა გავზავნილი
ახლა კი მყავს „საფიზიტოთ“ აღრიცხვაზე აყვანილი.
აი კიდეც ვატყვანს მე შეველე რკინის კარი
და დარბაზში ქოსა „წმინდას“ მდაბლად თავი დავუქარი
ვეკითხები:—პაპაშა-ჯან, ქვეყნის საქმე როგორ მიდის?
როგორ მოგწონს გამარჯვება საბჭოს ქვეყნელ გმირის შეიღის?



— აი სწორედ მაგ ამბავმა ვამიჩინა ბოლომ—სევდა, —
ვგ რომ ჩვენში მომხდარიყო, რამდენ უღმრთოს მოაქცევდა.
ხასწაულად უფლის მიერ დავსახავდი იმას ჩვენა
ხალხებს რწმენა ექნებოდათ დაჩვენ კიდეც — გამორჩენა.
— მაგ სასწაულს, ჩანს თქვენც ხედავთ, ახდენს ხალხი უფლის
და თქვენ რად თვლით? მტერი;

— ღვთის რისხვაა ჩვენთვის;—მეტი არაფერი...
დიხს, რისხვა... ეს ამბავი მე მით უფრო გულს მიწყულულებს,
რომ ის წავაგს, არ თუ წავაგებს, სჭარბობს ქრისტეს სასწაულებს...
ქრისტეც ზღვაზე დაცურავდა; (გავიფიქრე: „როგორც ბატი“);
შემდეგ იგი ცად ამალდა, როგორც თქვენი სტრატონატატი.
მაგრამ ქრისტე არ ყოფილა ყინულების მთიან ზღვაზე,
არც გრივალი დახვედრია ცისკენ მაგალ ქრისტეს გზაზე...

(მე ვიფიქრე: ან ვინ ნახა ქრისტე ზღვის, ან ცის სივრცეში,
სულ ხმელეთზე დადიოდა ვირით, ვირის ფაფრით ხელში.
და ტრანსპორტი უებარი ქრისტესათვის იყო ვირი,
მიაწერეს თუმც მრავალი სასწაული გასაკვირი).



სწუნდა პიუსს, რომ იშვიათ გმირულ საქმეს ურწმუნოთა
სასწაულად ვერ ჩათვლიდა მსგავსად ძველთა შავთა დროთა,
რომ საბჭოთა მფრინავები ამარცხებენ ცათა სივრცეს
და ამ მარცხით მოციქულის აქციები დაბლა იწევენ.



მივატოვე ვატყვანი, მივანებე თავი ხუცებს
და კუნძულზე ბრიტანეთის ამოეყავი თავი უცებ.
იქ დიდი ხნის უნახავი მიმელოდა „ჩვენი დოსტი“
ჩვენი ქვეყნის „მეგობარი“ ჩემბერლენი ჩვენი ოსტინ.

ვხედავ: ბრაზით ჩემბერლენი ფეხებს ძვე აბრაგუნებს
გვეგონება ლორდი არა—ქიშკიმედი აბრაკუნგ.
ყვირის: — რად არ დამიჯერეთ?... ეს ამბავი ჩვენთვის ყელის
გამოჭრაა. დღეის შემდეგ დემინგიც კი ვერ გვიშველის!

არ კმარობენ დედამიწის რომ უდიდეს ნაწილს ფლობენ, —
ზღვებსაც აღარ გვიყენებენ, მზესთან ფრენას აპირობენ.
იაპონელთ სახელმწიფოს ვთვლი ჩემს მოძმედ, ჩემს ნუგეშად
და წითლების წინააღმდეგ ამხედრებულ — დანაგეშად.

მაგრამ მათაც, ცნობა მოდის, ემართებათ თითქოს დამბლა
და იმათი მფრინავები მანტასავით ცვივა დაბლა.
რას ვაგვს ესა?!—სიტყვა ოსტინმა: აღრიცხადა როგორც ლომი
და „ნოტებზე დაამღერა“:—ჩქარა ომი! ომი! ომი!

სხვებიც ყვება მის ხმას, მაგრამ თეთრეული რჩებათ სველი,
არკტიკა და ცათა სფერო კი თავდასხმას ახალს ვლის.
მედუზა.



ამხანაგი ნიანგი ყალიონს აბოლებდა და თან გაზეთს ათვლიერებდა. მას ეშმაკური ღიმილით მთუნ-ლოვდა მოქალაქე ოთე.

— კითხულობთ? მაგნიტოგორსკე-ლებს სესხის გამოშვება მოუთხოვ-ნიათ?

ნიანგმა ყალიონი გააბოლა:

— მერე თქვენ რა გნებავთ?

— ის, რომ მაგ სესხს საეჭვოა ვინ-მემ მხარი დაუჭიროს.

ნიანგმა კვლავ გააბოლა ყალიონი.

— არ გჯერა? თუ გინდა წამოდი, უყუროთ, როგორ აჯანყდებიან მუ-შები... შენის თვალთ განახებ!

ნიანგმა ერთხელ კიდევ გააბოლა ყალიონი და პირდაპირ ქარხნებისკენ გაუღდა გზას. მას ფარფატი მის-დევდა ოთე.

სტალინის სახელობის ქარხანაში მღელვარება იყო.

— ხედავ? მუშები ღელავენ... გა-მოსვლას აპირებენ... სესხს არც ერთი არ იყერს, ნახე, პლაკატიც გაუ-ჩავეთ.

მართლაც იყო პლაკატი:

„არც ერთი მუშა სესხს გა-ჩავეთ“

— აკი გეუბნებოდი!—ნითნითებს ოთე,—არც ერთი მუშა, გესმის, არ იყერს სესხს... აი უყურე, მიტინგსაც მართავენ. საბრტეტო მიტინგს... შე ვერ მივალ, მეშინია... აქედან უყუროთ!

გუყურებდით და ვნებავდით, რო-გორ ირხეოდა მუშების ტალღა... ბოლოს რეზოლუციაც მიიღეს... ტა-შის ხმა გაისმა. შემდეგ საამქროებში გაემშურნენ.

— გეუბნებოდი!.. მიიღეს საბრა-ტეტო რეზოლუცია... ახლა საამქრო-ებს შეესიენ... გესმის გუგუნე? ყველა ფარს ამტვრევენ.

გუგუნე მართლაც ისმოდა, ნიანგ-მა, ოთეს განსაკვირვებლად, კმაყო-ფილებით გაიღიმა და გამობრუნდა.

— გესმის?.. აკი ვითხარი!.. მის-დევდა ოთე.

გადავიდენ მკვრავტრესტის ფაბრი-კაში.

— ის ხომ შიში მრეწველობა იყო? ხომ აჯანყდნენ მუშები, ახლა მსუბუ-ქი წარმოების ხალხიც ენახათ, იქ უარესი იქნება!—რიკრიკებდა ოთე და ნიანგს მისდივდა.

სამკერვალო ფაბრიკის მუშა-ქალებ-ბი ეზოში გამოსულიყვნენ. შუა ეზო-ში უზარმაზარი პლაკატი ეკიდა:

„3.500.000.000 კროლეთარულ სანაღმფივოს სესხად“

„შორს ჩვენთან დეშეპტირე-ბი“. „შველა ერთად გავიღვი საკაღიბო ფრონტზე“.

— უყურე, უყურე! ომი დაწყებუ-ლა, ფრონტი... დეზერტირები... თავს უშველოთ... და ოთემ მოკურცხლა

ხელს ვაწერო

ვწვდებით მთების მწვერვალს, ვიპყრობთ მიწას, ცასა, განგრვებთ და ვსპობთ ძველ ნაშოს, ვქმნით სხვა ქვეყანასა.

პირველ ხუთწლიან შეგზვლით: სხივით, შუქით, მზითა! ჩაღა ქარიშხალი აღელვებულ ზოგიდან ისმის გამარჯვება შორეული გზიდან.

დღეს მეორე ხუთწლიელს— ამ მეორე მზესა,—

როგორც პირველს, ისე უნდა შეგზვდეთ დღესაც.

შეგქმნათ ინდუსტრია უფრო მსხვილი, მძიმე,

დრამაგავსოთ მხარე მარგალიტის მძივებს.

სატრაქტორო ქარხნებს გაუდიდოთ რიცხვი

და სოფელიც მაშინ სახეს უფრო იცვლის.

ციტრუსებს და ჩაის ყურადღება მეტი,

რომ ხუთწლიელმა მოგვცეს ბრძოლა გადაწყვეტი.

ახალ რიონებს, ვითვისებდეთ მრავალს!

უკან არ ჩამოფრცო მზესა ამომავალს.

ქაბურთილებს, მადნებს მივცეთ გასაქანი!

ტემბი ბოლშევიკის და სისწრაფე ქარის.

ტრანსპორტს—ღვიძლ ძმას, ნუგეშს, დასმული აქვს კითხვა!—

გაეანადლოთ უმალ სტალინისა სიტყვა.

და ამრიგად, ხუთწლიელს რომ გაუდგათ ფესვი,—

უნდა შევიძინოთ სახელმწიფო სესხი.

რომ ნაყოფი იყოს უფრო უკეთესი!

უნდა შევიძინოთ სახელმწიფო სესხი.

ბედი ჩვენს ქვეყნის ვისაც კარგად ესმის!

იგი უნდა იყოს დარაჯი ამ სესხის...

ჯაგნელი ბუიკი.

დიღუბისაკენ. გალიმქსტლი მისაკაც გამობრუნდა.

მიადგენ ავტო-სარემონტო ქარხნის მშენებლობას.

— აქ უარესი აჯანყებაა.—იძახო— და ოთე,—ხალხი მანქანებს ამტვრევს.

მართლაც, მიტინგი ახლად დამთა-ვრებული იყო, ხელისმომწერა გაე-ფორმებიათ და მუშაობას შესდგომო-დენ. ქარხნების კარებზე დიდი პლა-კატი.

„გამარჯვების პატაკი სამხა-რად შტაბს“

— აი, აი! სესხის გამო აჯანყებუ-ლებს გაუმარჯვნიათ და თავის შტაბს პატაკს უღდგენენ. ვითხარი და არ და-მიჯერე... მივიღიარ... სოფელში რა-ღა იქნება?!

ოთემ ისევ მოკურცხლა. ამხ. ნა-ანგს კიდევ უფრო გაუბრწყინდა სახე და სოფლად გასწია. საღამოს მიიტა-ნეს სოფლის კოლექტივს. დინახეს თონებით, ბარ-ნიბებით და ნაჯახე-ბით შეიარაღებული ხალხი. ცხარე მარტინგი ჩონდათ.

„ყოველი კოლმეურნე უნდა აღიჭურვოს სესხის ობლიგა-ციებით“...

ლაღადებდა პლაკატი, ორატორი და მთელი კრება.

— აღიჭურვეთ... შეიარაღდითო... გესმის? ხალხი იარაღს ისხამს... აი, რა ქნა თქვენმა სესხმა,—ატოკდა ოთე,—წამოდა, გაგიჩეით სოფლის საბჭოში...

ნიანგი დიღას ზემით, მისიჯებდა. სოფლის საბჭოსთან კოლმეურნეებ-თან ერთად ერთპიროვნული გლეჯუ-ბი შეგრაგილიყვნენ. აქაც კრება. პლაკატიც. სიტყვები:

„სესხის სანახევოდ მაგრად დავსც-ხოთ ობლიგაციებ მურს, მოვსპოთ მი-სი ნაშთები, გავხადოთ შეძლებულად ყოველი კოლმეურნე“...

— აქ უარესი ამბავია,—ჩიფნიფუნს ოთე.—გესმის? „დავსცხოთ“, „მოვა-პოთო“, „განსადოთ“, ტანზე არ ვაშადონ... მივრბივარ...

და ოთე ტყეში შევარდა.

ამხანაგი ნიანგი ფრიად აღტყინებუ-ლი შემოვიდა რედაქციაში და შეპო-იტანა უკანასკნელი ცნობები საქარ-თველოში სესხის გავრცელების შე-სახებ.

— წარმოიდგინეთ,—თქვა მან.

— ქალაქისა და სოფლის არც ერთი მშრომელი არ რჩება სესხის ვარდზე...

— ასე გასინჯეთ,—განაგრძო მან: სესხის ობლიგაციის შეძენა ვალა-იტვა სიამაყისა და სახელის საქმედ!

ოთე საგადამყოფოდან ჯერაც არ გამოსულა.

ალლარ-ალლარსან.

მოულოდნელი უსიამოვნება

„დაევალოს პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფს მთავრის ავრეთვი, სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება საბჭოთა, სამეურნეო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებში კომკაფშერის „მსუბუქი კავალერიის“ მეშვეობით“



ნახ. ქოქიაშვილი.

ს.კ. კ.ბ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომ. 1924 წ. 15 აპრილის დადგენილებიდან.



— „მსუბუქი კავალერიის“... მსუბუქი კი არა, ამაზე უმძიმესი არაფერი დამცხინა თავს!



საგზაო ავადმჯობინებელი

ერზო - კვირცხ - ბატკან - გოჭი - ქათამ - ბაჭ - ინდაური მეთოდი

დღეშეთის რაიონს, სოფელ მალაროსკარი ამშვენებს, მალაროსკარს — სასოფლო საბჭო, სასოფლო საბჭოს საგზაო სექცია, საგზაო სექციას კი საგზაო მშენებლობის არ ნახული მეთოდი.

თუ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას უნდა გაიმარჯვოს საკავშირო სოცშეჯობებაში, რომელშიაც იგი ჩაება უფროობის ლიკვიდაციის მიზნით — ამხანაგმა ვასო ქურდიამ, როგორც ამ საქმის მთავარმა ხელმძღვანელმა, მისი ბირადი ხელის მოწერით ასეთი მოწოდება უნდა გაუგზავნოს ყველა რაიონებს და სასოფლო საბჭოებს:

მიზანძვეთ მალაროსკარის საბჭოს საგზაო სექციას!

ჩვენი უფროალი გზის სამმართველოსთან ერთად იბრძვის და იბრძობებს, რომ საკავშირო შეჯობებაში, ცხადია შრომის და ბრძოლის შედეგად, ჩვენმა რესპუბლიკამ გაიმარჯვოს, მაგრამ ის გამარჯვება, რომელიც ამოიპოვა მალაროსკარის საბჭომ, წინდაწინვე ჩრდილავს ყველგვარ სახის სხვა გამარჯვებას.

რა ხერხით მოიპოვა მალაროსკარი მა ეს გამარჯვება?

უბრალო ხერხით. როგორც ჩვენი თანამშრომელი გვწერს:

მან გამოიყენა საგზაო მშენებლობის ერზო-კვირცხ-ცხვარ - ბატკან-გოჭი - ქათამ - ინდაურ და უმანკო ვარიების მეთოდი.

აღბად მკითხველებს აინტერესებს თუ როგორ დაიწყო სასოფლო საბჭოს საგზაო სექციამ ამ უცნაური მეთოდის ცხოვრებაში გატარება, ან რაში მდგომარეობს ეს უცნაური საგზაო მშენებლობის ერზო-კვირცხ-ბატკან-გოჭი-ქათამ-ინდაურ და უმანკო ვარიების მეთოდი.

ამ მეთოდის შინაარსის გასარკვევად საქმარისია წავიკითხოთ ის განცხადება, რომელიც ხიანკორის ცნობით მალაროსკარის სასოფლო საბჭოს საგზაო სექციამ გამოაქრა და რომლის ასლს აქვე ვათავსებთ:

განცხადება

შოქალაქეთა საყურადღებო!

იმ გოჭს, რომელსაც აქვს მოსახდელი 15 დღიანი საგზაო ბეგარა, შეუძლია ჩაებაბაროს: ერზო, ყველი, ცხვარი, ბატი, კვერცხი, ქათამი, და სხვა პროდუქტები, რომელსაც მოეხსნება საგზაო ბეგარა.

შეიძლება ეს ცნობა გაზვიადებულია, მაგრამ მის მიხედვით მთა-



როსკარის საგზაო მშენებლობის მეთოდის შინაარსი მაინც ნათელია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ განცხადების ავტორებმა პროდუქტების გემოც კარგად იციან და წერა-კითხვაც.

გამოვდივართ რა ამ მოსახრებიდან და თვით განცხადების შინაარსიდან, გეკითხებით მალაროსკარის მცხოვრებ გლეხებს: მ. ლომიძეს, ვ. ნამვალოურს, ტ. ფშეშინს და სხვებს, რომლებიც ამ განცხადების თანახმად იძულებული გახდნენ წარედგინათ „მოწინავე“ სოფლის, „მოწინავე“ საბჭოს, „მოწინავე“ საგზაო სექციაში მათი გოჭები, კვერცხები და სხვა პროდუქტები — და კიდევ

წარადგინეს, ბირადლ მათ მოეხსნათ საგზაო ბეგარა თუ მათ ნაცვლად მათ მიერ წარდგენილ პროდუქტებს მოეხსნათ სწორეთ ისე, როგორც განცხადებაში სწერია?

დანარჩენ კომენტარიებს საკონტროლო ორგანოებისაგან მოველით. სიკიბო.

ლორების საჩივარი

„სოფ. შილდის კოლმეურნეობის მფლობელობის ფერმაში ღორებს არ აქვთ საკვები, გასულ წლის ნამატიდან მიმდინარე წლის თებერვალში დაიხრცა 66 გოჭი და 4 დედა ღორი, ამჟამად დაავადებულია 5 ღორი“.

ქველგან გამოსაიღენი ვართ, იორქშირის მოვედგამს ჯიშ საამაშვილს ჩვენი (ორდვა რომ ჩაგყარა ვასაქირში, ამოკარდის მისი გვარი. მისი მოდგმა მისი ქოქი, სიციყეში როცა გასროვართ ფენით გეთელავს ცხენის ჯოგ ტალახი და ღვარი გვასრჩობს. დაჯიბანოთ გოინდა ტანი, ვიშოში და სიმსუქნეში ვერ გვევობია რძის ბატკანი.

ესეც ასე იყოს მაგრამ, რას გვერჩიან საწყალ ღორებს, სიმშობისგან გული გვიწუხს, ტანში გვცვივა და გვაზმორებს. ავადმყოფობთან ერთად ვართ, უნდა გაგხდეთ ხეალ ჩვენც აიროცა კამჩების ფრჩქვე ვითვლებით საცოდავად. ეს ქვეყანა, ხომ არ არის სარო, ორმო, ან და ქუჩი, ჩვენ სიმშობით აუქი დაგვიწა შენ კი ყლამო ხაქაპური. სამოცდა ექვს გოჭს დავსტირით. დაგვიღუბე წლის ნამატი, ეს რომ თებერვალში მოხდა, რას გვიზამდა, გვითხარ მარტი? დამწამავე როსიკაშვილს კველიშვილს და სხვებსაც უნდა, ასეთ დღეში ჩაედებისთვის მივაყაროთ ქვა და გუნდა.

პოკლა

„აღმაშფოთებელია, რომ სოფ. ალაზის (კასპის რაიონი) კოლმეურნეობა „ტომბრის“ გამგეობამ გაანიავა მუშა-პირუტყვი: ერთს ფეხი მოტეხეს, მეორეს აჭამეს ზედმეტი ჭარხალი, რამაც იმსხვერპლა ხარი, ხოლო ოთხი სული დაკლეს და შეჭამეს... პროკურატურას არავითარი პასუხი არ მოუთხოვია ამ საქმისთვის პასუხისმგებლობაში მიცემული მარტიაშვილსათვის და არც შეუს (26 კომუნართა სახ. ჭარხანა) შეუწყურებია თავი“.

თათბირი

— მე მგონია, რომ აქ ჩვენი ლაპარაკიდან არაფერი გამოვა: — თქვა ფენმოტეხილმა ხარმა და ყავარჯენს დაეყრდნო.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ჭარხლისაგან ვაბერილმა ხარმა.

— ისე პროკურორს მოვავლით ჩვენი მდგომარეობა! — წინადადება შემოიტანა თავმოჭრილმა.

— ჩვენ ვართ თქვენი საშფო სოფლის კოლმეურნეობის განადგურებული საქონელი და, გინაიდან პროკურატურამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, მოვიდით თქვენთან გათხოვით, რომ...
მაგრამ შეფხა სიტყვა არ დაამთავრებინა და შიოკთა:

— თხოვნაზე მარჯვე ხართ, აკი გამოგიგზავნეთ ფული! სხვა რა გინდათ ჩვენგან?

— რა მინდა, შენი ჭირიმე და, აი ხომ ხედავ რა დღეში ვართ? — დაიწყა ფენმოტეხილმა.

— ჰო, რა დღეში ხარ, მაგალითად შენ? — გაცხარდა შეფი.

— რა არის? როდის იყო, რომ ხარი მაკდებოდა?

— რა ვიცი, ყველაფერი შეუძლია სიმულოაცისას. მინც რა მოგივიდა?


— ის მომივიდა, რომ ჩემი დაკვლა უნდოდით და ჭარხლით გამბერეს.

— სტყუი, ცილისწამებაა. ეცი ვაქცმა ასეთ უმადურს პატივი და საქმე ლი ბლომად აჭამე! უჯიშო ყოფილ ხარ, უჯიშო. ჭარხლისაგან შეჭარს აკეთებენ, და შენ ჭარხალმა გაწყინა? მართლა დასაკლავი ყოფილხარ! — და შეფი ახლა შეეკითხა თავმოჭრილებს: — აბა, თქვენ რა ცილს დააწამებთ კოლმეურნეობის გამგეობას?

— ვერა გეხედავ? ჩვენ დაგვკლეს, ჩვენ შეგვიჭამეს, როგორ, ეს ცილისწამებაა?!

— მოკლეთ რომ გთქვამთ, თქვენ რა გინდათ? რა გაკლიათ, რომ მუშაობაზე ხელი აგილიათ?

— დაგვკლეს, თავი აღარ გვაქვს და როგორ ვიმუშაოთ?



— ტყუილი იმიდია, — წამოვარდა მეორე თავმოჭრილი, — პროკურორს რამდენი ხანია აქვს ჩვენი საქმე, მაგრამ ხელიც არ უხლია მარტიაშვილ სთვის.

— შეფს მივმართოთ, ეგებ მან მოგვაქციოს ყურადღება! — წინადადება შემოიტანა მეოთხე თავმოჭრილმა. ამ წინადადებაზე ისე გაახარა ისინი, რომ აკუნტრუშდნენ და პირდაპირ შეფისკენ გაუდგნენ გზას.

შეფთან

ჩამოვიდნენ თუ არა ტფილისში, მანვე შეფს მიადგნენ, 26 კომუნართა ჭარხანას.

— ხომ ხედავთ, თეხი მომტეხეს! ახლა თესვა დაიწყო, უფენოდ როგორ ვიმუშაო?

— ხარმაცი ხარ, თორემ ერთი ფენის მოტეხა მუშაობაზე ხელს არ შეგიშლის; მე ორი ფეხი მაქვს, მაგრამ ძალიან კარგად ვიმუშაობ, მუშაობა რომ არ გეზარებოდეს, დანარჩენი სამი ფეხითაც კარგად იმუშავებ... შენ რა დაგმართია, რომ ასე ვაბერილხარ? მაკედ ზომ არა ხარ?

— შეეკითხა შეფი მუშეგლზე ვაბერილ ხარს.

— მე დალოცვალა, დამკანი თუ

— სხვა არაფერი?

— სხვა რა გინდათ?

— იცა რა გითხრათ? თქვენ ხარმა ცეხი ხართ. მუშაობა არ გინდათ და რაღაც ლობე-ყორეს მოედებით.

— თავები?


— „თუ გული გულობს, ჭადა ორივე ხელით შეგიძლიათ შეჭამოთ. უთავოდაც იოლად წახკალი უთავობა ხელს არ შეგიშლით მუშაობაში.“

— ეს ალბათ თქვენი პრაქტიკიდან იცით! — უთხრა ფენმოტეხილმა შეფს და ყველანი წამოვიდნენ.

„მაშინ, როცა მოსკოვში არსებობს ა.-კ. მუდმივი წარმომადგენლობა, — მთელი რივი საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაცია აგზავნის მოსკოვსა და სხვა ქალაქებში განსაკ. საჭიროების გარეშე წარმომადგენელთა, რომლებიც იქ ანიავებენ სახ. თანხებს“.

როგორც წახვალ სვინაო,

მოსკოვს წახვალა მას უხარის, ვისაც ბევრი ფული აქვს, კლვენი ანუ იზივ ქრთამი კვაზობისთვის თან მიუტანო.



ანთიმოზა, გრიშა, სეფე, კოლია და იაკინთე ექსპრესის ვაგონში ჩასხდნენ, ერთმანეთი მოიკითხვნენ. ვინ სად მიდის, რა საქმეზე, რა ტრესტიდან, რამდენი ხნით, თან როგორი ძღვენი მიაქვთ, ჯიბეში რამდენი თანხით? ყველა რიგზე რომ არ იყო მასლაათში, გამოირკვა: მივლინების „მიზნები“ მგზავრებისგან გამოითქვა, რა საქმეზე მიდიოდნენ კარგად თვითონც არ ემოდათ, მაგრამ მოსკოვს მივლინება შემოსული იყო მოდად. ბურღლა წეწი, მატყლი ჩეჩე, ნაცარი და მტვერი ქაქა, პრასა-ნიახურის ტრესტის დირექტორი იყო სეფე, ამბროლაურის გლეხკომის, ყრუ-მუნჯთა და ბრმების შეფი, ვარციხის მარნის რწმუნებულს თან მიჰქონდა ღვინო ჩეფე. მოსკოვამდის იმოგზაუროს მეტისმეტად მხიარულად, ძველ ღვინის ბოთლებისადმი განწყობილი იყვენ მტრულად, მუქთად შეძენილი ჰქონდათ და არა ნაყიდი ფულად, — რამდენიმე სავესე ყუთი გამოსცალეს გზაში სრულად. უკანასკნელ რაინდებმა ერთმანეთში დასდვეს პირო, რომ მოსკოვის სასტუმროში ხშირად სჭამონ ერთად პური, მაგრამ ერთმა მგზავრთაგანმა მათ მუსაიფს მოჰკრა ყური, საბჭოს ქონების ფლანგვაზე მას დაეწია მიტად გული. მოსკოვში რომ რაინდები ქონებას ანიავებდნენ, მთელი დღეები ქუჩებში უსაქმოდ დაყაილებდნენ, ღამით კი რესტორანებში ვალეშილი ღრიალებდნენ, ბოთლებს, ჭიქებს და საინებს ჰაერში აფრიალებდნენ...

გ უ ქ ნ ა...

(გომის თემი, სამტრ. რ.)

სოგრატი განაგებს გომის კოოპერატივს, და მიიართვეს ხშირად მწვადებს მკვირანს, მსუქანს! იუსტიციეც მასთან ყლაპავს მოზრდილ ლუქმას, „მუშაობენ“ ერთად, დროს არ კარგვენ უქმად! „ეპოს“ ხარჯზე ხშირად თამაშობენ ბუქანს! ეპომ თუ მიილო საქონელი რამე, აკოცებენ ჩუმად სახლისაკენ ღამე! თან აძლიონ ნაცნობ ღამაზ-ღამაზ დამებს! ხალხი ამას ხედავს და ხშირადაც ჩივის, აი, ვის ხელშია კოოპერატივი!


მიმინო.

ისე ვერ მოხვალ უინაო...

დაბრუნება და შინ მოსვლა... უკაცრავად, მწარე დარჩა.
 შეტაფოთ ამდენ კვახში ველარც ერთი ვერ გადარჩა.



მოსკოვში მივლინებული „ბას.-მგ. მუშაკები“, რომლებიც კომბინაციებს ეწეოდნენ და ახდენდნენ დე ბოზებს, გადმოსახლებული არიან და იგზავნებიან ეტაფით“.



ნუ გიკვირთ, რომ ამ ადგილას მოულოდნელად შევსდექი:
 უფრო ნათლად დაგანახებთ ამას სურათი შემდეგი.
 თვით მიხედვებით, თუ როგორიმოჰყვა ამ ამბავს შედეგი,

ს ლ ა ვ ე რ ღ ი!

(დ. ხრესილი, ტყიბულის რაიონი)

იყო და არა იყო რა. წინად იყო კომკავშირელი ამბროსი კუბლაშვილი. შეუყვარდა ამბროსის მღვდელს და მოახათვლია ბაჭუყები, გააძაზა დიდი ღრეობა, სადაც ტოლუმბაშაო თვითონ მამაო იყო. გაუგეს ამბროსის... დადგეს ქონიან ნიჩაფზე და შორს გაისროლეს კომკავშირიდან. ამ

ბროსი არ შეუშინდა ამას, დატრიალდა თავის ძმა-ბიჭებში და შეძრა კოოპერატივში. ამჟამად ამბროსი თავს კარგად გრძნობს, იგი ხშირად ითვრება და ლიონობს:
 მე, ამბროსი კუბლაშვილმა გადავწყვიტე სულ ვიღობო,

წითელი ესვა კვარტით ღვინო, არასოდეს მოვიწყინო!
 კუბატაძევე ალავერდი, შენ, ფლანგვაში ხელგაშლილო, ძმა-ბიჭებო, მფარველებო კალისტრატე ქასრაშვილო!

ტყიბულები.



ქუთაისის ბაღის ერთ კუთხეში იჯდა სამი კაცი და მათ ერქვათ: ბენო, კოწია და პეტრე.

— ბიჭებო, ამბობდა კოწია, — თქვენ კარგად იცით, რომ უძრავ ქონებათა განყოფილებაში ფულები ბევრი ვიშოვნე და თქვენთან შეგეჭამე. აი, ზოგიერთები აქ მოწერია ვისგან რამდენი მაქვს აღებული ფული: ძოწენიძე ვლ. (მეჭვბუკი) — 600 მან., დვალი (მეთორნე) — 1.700 მან., ძოწენიძე ილიკო — 500 მან., ჯავახაძე — 1.000 მან., ლომიძე — 500 მან., მეფარიშვილი თედ. (მეფურნე) — 500 მან. სულ 4,900 მანეთი.

— მეფარიშვილისთვის მეტი უნდა გამი ირომიძით, თქვოს კბილები ხომ ჩაუმწკრივებია, მეტის გადაბღარ შეეძლო თუ?

— აწი თქვენზეა საქმე. თქვენც სხისავით უნდა ივარჯოთ; და სამთავენი შეუდგენ ფიქრს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი გამოიგონებდა ფულის შოვნის ხერხს.

ბევრი ფიქრს შემდეგ ბენომ აღტაცებით წამოიძახა:

— შესწავილოთ ფიქრი, უკვე მოვიგონე!

— მიხეილ ჯავახიშვილს ჰონორარი მოვსთხოვოთ!

თითქოს ცივი წყალი გადასხესო, ყოწია და პეტრე გაშეშდნენ.

— ხომ არ ვაგვიყენი? — რა შუაშა აქ ჯავახიშვილი! რის ჰონორარი? რა ჰონორარი! — შეეკითხნენ ბენოს.

— რის ჰონორარი და, ვეძებოთელა წიგნი რომ დავაწერიოთ.

— რა წიგნი დავაწერიოთ?

— კიდევ ვერ მიხვდით. მისი „კვაჭი“ ჩვენზეა დაწერილი. ჩვენ ვყავართ შიგ გამოყვანილი. აი, ამაში გვეკუთვნის ჰონორარი.

— შენ რეალური რამე გვითხარი, თორემ ოცნება ვერც გვაქვს და ვერც გვახსენებს.

— რეალური თუ გინდათ, აი, ეს არის, — თქვა პეტრემ, მხედრული პორტფელიდან ამოიღო ქაღალდი და წაიკითხა:

„ცეკავშირს თანხმად უმაღლესი ორგანოების დადგენილობისა

ლი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ ქუთაისის რადიოგაზეთს — 2,000 მანეთის რაოდენობით“.

რედაქციამ კასპიდან ძირო ვქიმ ემელანე კალანდაძის დღიური, რომელიც შეიცავს რამოდენიმე ხელნაწერ ვეგორდს, როგორც ჩანს დღიური ექიმს დაუკარგავს; იგი უპოვია ჩვენს თანამშრომელს, რომელმაც გამოგვიგზავნა ნიანში დასაბუქდათ.

ვინაიდან დღიურში გვხვდება ნიანისათვის საჭილო რამე ცნობები — ვბეჭდავთ ზოგიერთ ადგილებს:

დღიური 1

„დღეს, რიცხვს არ ვასახელებ, ზომა მომხარა და ლაზარიალად მივბეგვე კოლეგა იანო ურუშაძე; დედაც შევუკუროთქ. ასე ეკადრება. აბა, როგორ გამიბედა სიტყვის შიმობრუნება“.

2

„ეს მიტო ლომიძე ვინ ოხერაა, ბეთალი კი არა — მიქარვაა მაგი. ერთი ხომ მივლანძღე რჯულზე! იყო დღეს, რომ ჩემთან სიტყვის ამოღება არ გამოადგება!“

3

„ქვემო-ჭალაში გიყავი, კარგი დროება გავატარე. ნიკო კაიშაურისთვის

მინდოდა მეცემა, მარა გამასწრო, გაქცევით უშველა თავს. მაგიც იტყვის გაყვანილი ვარო!

4

„კავთისწვეში უნდა გადავსახლდე, პირდაპირ დამწვა იქ მომუშავე ექიმსა ქალებმა. ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის, გავიმსრჯებ უსათუოდ!“

5

„დღეს ვერა ვარ კარგ გუნებაზე, ამ დაზღვეულმა ავითმყოფებმა გამიჭირეს საქმე. რა ხეირია მაგათში, ფულს არ იძლევიან და არც პატივს მცემენ! გაწყვიტე მათი სისხლი! კიდევ დიხრთხმ დალოცოს „ჩასტნი“ ხალხი, მაგათგან მაქვს ხეირი, მაგნი რომ არ იყოინ მე, ემელანე კალანდაძე აქ გავწირდებოდი“.

დღიური. როგორც ვთქვით ვრცელია, ზოგიერთ ადგილს დაგებქდავთ შემდეგ.

იჩო.

— სხვებსაც მივსწეროთ! — მაღაზე მოვიდნენ ბენო და კოწია.

— ჰა, მიორე ქაღალდიც, რომელსაც არ ტელ „შრომას“ ვსწერ.

— რამდენს უთვლი?

— 1.000 მანეთს. აბა, ბენო, შენი კაი ბიჭობა ახლა გეჭირია. ეს ფული და ასეთები სხვა ბეგრი შენ უნდა შეკრიბო.

ბენომ დაკრითი წესით და გადაქარბებით („მკერავიდან“ — 100 მან.) შესწრულა დაკისრებული ვალდებულება.

ფული მოხმარდა „პირდაპირ დანიშნულებას“ და განაწილებული იქნა ახიურ სასადილოში.

განაწილების დროს დაინარჯა სამალარიხო 183 მანეთი.

— სირცხვილი იქნება, რომ ჩვენის თანა კარგმა ბიჭებმა ეს დანახარჯი გადავიხადოთ! — თქვა ერთმა.

— ნუ ვიხდით. — დაუმატა მეორემ.

— ეს მე მკითხათ. — თქვა ბენომ და ხელწერილი დაწერა:

„მოვიდე სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე ვალდებული ვარ დავაბრუნო უკანვე ფულად ან სურსათით“.

— კი ბატონებო, მაგრამ შექმული სურსათი რომ უკანვე დამიბრუნოთ, რად მინდა? — ძლივს გაბედა სასადილოს მსახურმა.

— ჩვენ ხომ იცი გინა ვართ? ჩვენთან არაფერი დაგეკარგება! უთხრეს და გამოვიდნენ სასადილოდან. (ეს ხელწერილი დღესაც გაუნადღებელი ინახება სასადილოს დახლში).

— ტუთოები მინდა, მაგრამ ფული რაფერ მივსცე! თქვა ბენომ.


— ნუ აძლევი. — კუა ასწავლეს ამხანაგებმა.

— უფულოდ არ მაძლევი.

— მოგვიშენ, აი როგორ ქენი: გასაშინჯად შაილე რალი ტუფლი. შერმე მე მივალ და მეორე ცალს მცეც ამავე მოტივიო წამოვიღებ. ამგვარად ტუფლებს უფასოდ თუ არა, გადაუხდელ ნისიად მინც მივიღებთ. ხერხმა გაჭრა.

— მშვიდობით, ბიჭებო. მე აკერ სასტუმრო გრანდ-ოტელში უნდა შევიარო და ჩხუბი უნდა ვქნა, თორემ ამელამ ისე არ დამეძინება! — გამოემშვიდობა მეგობრებს კოწია.

ქუთაისელი



— პერონის ბილეთი, ამხანაგო! ისე პერონზე გასვლა არ შეიძლება: — ღორები და თხები თუ კი სერიანობენ უზიდიდითაღ. რაფა შე მათზე ნაკლები ვარ?

გაბიჯება ძირულის „სამტროსი“ მარნის გაგონთან

ნინაგალო: აქცეპა ცეპო და ასეცო?
კვირიკაშვილი: კვირიკაშვილი შიშა.
ნინაგალო: რა თანადებობას ასრულებთ ძირულაში?
კვირიკაშვილი: მე ვახლავართ ძირულის მარნის გაგე, ე. ი. შალიკო ბარბაქაძის შემცველი.
ნინაგალო: შალიკო ბარბაქაძე გინდა არის?
კვირიკაშვილი: შალიკო ბარბაქაძე იყო მარნის გაგე, რომელმაც 2000 მანეთი „გაიბიჯა“ და მოხჩრის.


ნინაგალო: აქცეპს საოდაფის კოცელ-ღამე ქეფია, ფიქრობთ თუ არა სარდაფის გადიდებას, რომ უფრო მეტი მოქეიდე ძმა-ბიჭები დაიტოს რას იტყვიან ამაზე?
კვირიკაშვილი: შედგენილი მაქვს 1934 წლის გე.მა, სადაც ვათვალისწინებოლი მაქვს საოდაფის გადიდება და ძმა-ბიჭების ქეიფისა.
ნინაგალო: ძიბასუფით. სარდაფიღას ტრესტის განკარგულების გარეშე რცემა თუ არა ღვინოები და რა რაოდენობით?
კვირიკაშვილი: ყველა ზენთაგანს ყავს ძმა-ბიჭები, რომლებმაც მიაქეთ ჩემი განკარგულებით ღვინოები. დღეში უნდა გაიცეს დაახლოებით 10 ფედრო, მუშებს კი თვეში ვაძლევთ ნახევარ ფედროს.
ნინაგალო: უკანონოდ გაცემული ღვინოების ფული შეტანილი გაქვთ თუ არა ზესტაფონის სამტროსტში?
კვირიკაშვილი: ვერ გიბასუხებთ, ვინაიდან ალარ მახსოვს.

აოათ, რომ ჩვენი საოდაფიღას თითქმის ყოველ ღამე მიაქეთ ღვინოები და უმეტეს ნაწილად ჩიტაქეს და ჩვენ გაბგეს.
ნინაგალო: მეჩე თქვენ რატომ არ აქცევთ ამ მდგომარეობას ყურადღებას როგორც დარაჯი?
მაჭავარიანი: ბატონო ნინაგალო კოტა-ოდესა მეც მსაძლავდენ ჩოლომე და ძე ვარ განონებული.
ნინაგალო: თქვენი გვარია.
მაჭავარიანი: აბაშიძე გახლავართ.



ნინაგალო: დამისახვლეთ თქვენი თანამშრომლების გვარები.
კვირიკაშვილი: 1. ჩიტაძე გოგია — მარნის უფროსი მოშა, 2. მაჭავარიანი — მარნის ყარაული და 3. აბაშიძე გოგია, უფროსი მელვინე, ესენი ამხანაგო ნინაგალო, არიან ჩემი მარჯავენა ხელები.
ნინაგალო: აბს. კვირიკაშვილი, თქვენზე ამბობენ ყოველდღე ლოთობს და მთერალიაო, მართალია?
კვირიკაშვილი: მართალია, ამხანაგო ნინაგალო, აბა რაგორ მოშითმენს გული, როცა ამდენ სხვადასხვაფერ ღვინოებს ვუჭურებ და არ დავთვრებ?

ნინაგალო: თქვენი გვარი ამხანაგო?
ჩიტაძე: ჩიტაძე.
ნინაგალო: რა საქმიანობას ეწევით სარდაფში?
ჩიტაძე: მე ვითვლები უფროს მტუშათ, მაგრამ ჩემი საქმიანობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველ ღამით ვეზიდებ ღვინოებს ჩემს საკუთარ სახლში.
ნინაგალო: იცის თუ არა სარდაფის გამგემ ყოველივე ეს?
ჩიტაძე: რა თქმა უნდა, იცის. ჩვენ ერთად ვართ. ღვინოსაც ერთნაირად ვეზიდებით სახლში.
ნინაგალო: თქვენ ვინა ხართ, ამხანაგო?
მაჭავარიანი: მე ვახლავართ სარდაფის დამის ყარაული — მაჭავარიანი.
ნინაგალო: თქვენი სარდაფიდან გადის თუ არა ჩუმჩუმად ღვინოები და ვის მიერ?
მაჭავარიანი: უნდა გამოგეტყუდე და გით-



ნინაგალო: რა თანადებობას ასრულებთ სარდაფში?
მაჭავარიანი: უფროსი მელვინის მოვალეობაა.
ნინაგალო: თქვენზე ამბობენ ძმა-ბიჭებს ღვინით ამარაგებსო, მართალია?
მაჭავარიანი: მე როგორც მელვინე ყველაზე კარგად ვესტყობა ღვინის გამოჩენვა და ცხადია მეც მყავს ძმა-ბიჭები — ღვინის მოყვარულნი.
ნინაგალო: — ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ, თქვენისთანა ხალხის ხელში საქმე ხეირებს, ცხადია!

ნადი გერე და მოუარე

ჩამორჩენილ სოფლები ქალის შთაბეჭდილება მარჯვანიშვილის სახ. თეატრში დადგმულ „სიღვინე“



— გოგო, სანა... სად მიზღინარ, ლახლომ კაშია?.. ვაი გოგო წუხნელა, რა უბედურობა დატრიალდა?.. იპ, რაღა რაი დედა-კაცო, დიდი უბედურობაი, ერთი ქალი დახარჩევს, რაიე, ანაა, ჯადარძიანთ ქალი უნდა იყო, ანა, კიდენა მაჰაგარინთი, იგრეს მოგვარ ყური... ერთი ქალი კიდენა დაჰკლავს, ქაეკანდიანთ ქალი ყოფილა! თავადიბ ქალი... ერთმა მღვდელმა კიდენა დევივით ვაჟეკვა, თავი ხელითა ყელი გამაილაღრა... რითვინაა?.. თავი კახა ცოლი გულითვინა.

გუშინწინა ჩემგ ნათლიამა შემიყვანა გოგო იმითანა ოთანშია, რომა ცხენი გაქენდებოდა. გაქანახუნებული იყო იქაურობაი. ჩვენ გარდა ძიელ ბევრი ტუმბრები ყოლიათ მოწვეული. ახლა ხალხი, რა არ დატეულია, მალა ქრიტიანო, მალა ბალკომები გაუწყვითი და ხალხი იქ დაუსხიათ! სკამები მტრი კი არა იყო რა ი, ვეება ოთანშია, ვიყაით ვიყურუტეით იგრე, ვახში მოლოდინშია და ძილი მომერია... ახლა დაუკრეპ ბუნიკაი, ჩაჰრეპ სანთელი, ჩაუქრათ იმით დღი სნათლენი. მივიძინეი ლამთაა. ყვირილ რომ არ გამოვედვიძენი, იფრო კარგი იქნებოდა, მაგრამა ვაგაჰყიტე თვალები და რას ვხედავ:

ერთი ქალი მოიყვანევ, მაგრამა საცოდაობით დაიწოდი იმი დანახავხედა: გამხმაირი, გაქანაჭული, მუჭტი ოდენა სახეი, გაცრეკლი, აღებდა შოშისავით პირ და საცოდავთა ხაოდა, წორე ვითხრა გერა გავიგე რა, ი რა შესართავი იყო! ქალაქიბ ქალიაო. მწავლულიაო და იმითვინაო. გულმკერდი ძვიდასი მძივებით ქომდა სამსეი. თეთრი ჯგრი წერობ კახა ეცო, კული ქომდა, როგორცა აქედანა და ლახლომკაი, თავხეცა შლიაჰა იყოო, კახნიჰა იყოო, ქათმი საბუდარი იყოო, ვერა გავიგერა; ქომდა კოსროზე წამოგდებული. იმი კვენსამა, ჩინტა-კობით, რა დაეწერა ჯგარი ქართულათა, პატროსნათა, ღმერთი გაუწყრებოდა?! მაგრამ ქალო მზითევე არა ქონიარა აბაბა, ქვეყანაზე არაფერი; არც კაოლი, არც ჩიფანერკაი, არც ვასაშლელი ტოლი, ლიკლი სმოვარიაო, შურაბიბ ტაპტიო, საად იყო. კრუტიც კი არა ქომდა ქა. მხა არ მამიკვდეპ. ეყარჩენ იგრე საცოდავთ კიბი ქევა. ერთი გურგვალი სარკე ქომდათ, მე რომ მაქ წორეთ იმითანი. ისიცა ვატეხილი. ი ვატეხილი სარკე რა დავინახეი, წორე ვითხრა მაშინვე ვავიფიქრეი, რომა დიდი უბედურობა უნდა მოხდებ მეთქი. ი უბედურიცა გრძობდა თავი უბედურობასა. „თვალი მითამაშებს საწყენიო“, წამოიძახა თავი უბედურობიბ წინა. როგორ იყო, ქალო და ღვდელმა

უთხრა ფოფოლიასა: „მე მივდივარ წირვახედო და შენა ქკუთი იყაიო“. ახლა, ვერც უნდა, აბა ქალაქიბ ქალი რა სანდა, იღვა და ჩაბარო თავი დიაკონ იაგორსა. „თუ მხა ხარო, ჩემ ფოფოლიას შენ გეტუებო და მოუარეით, დვდლებმა და ბერებმა არა მიქარონ რაო“. გაიტუმრა ქალო ქმარი და ჩამოგვიფარა ფარდაი. ახლა ფარდი უკამა, ძიელ ვაიგებ, რაჰ ჩადიოდა? არავის ეთვებოდა: იქ, თათარი ღვდელ მოუჯდა გვერდითა, იქა, ერთ ახალგაზრდა ღვდელ ჩაუყარა ხელები ხელშია და აკოცინინა ამოტოლბ ტუმბრები წინა. დვა, ე, იაგორაი შორი ახლო და კბილებ ილესამს, ამასაც თავითვინ დომებია. რა ვასდა, ქა ე, გამხმაირი დედაჰაი! ქრიტიანო, ორი ნნიმუტიბ წასული არ იყო ე, ღვდელი და დაბრუნდა! აი, დიდება შენთენ ღმერთო! იგრე შემწმინდა, ასე გონია, მე ვიყავი იმი ცოლი, ი დიაკენიბ ცოლ; ქაეკანდიანთ ქალ, ყვარება ი ახალგაზრდა ღვდელი და ძიელ ეფლოწვებოდა: აი, ხან თვალი ჩაუყრა და ხან ზედ წეგვალსუნა კატასავი-

„სიღვინის მეცხვარეობის რაიკომბინატის მეურნეობაში არის მხოლოდ ერთი ვეტერინარი. ზოოვეტმომსახურება სუსტია. წამალი არ იშოვება, არის მხოლოდ ერთი თერმომეტრი“.

გაგ. „გუშა“.



ვ. კროჩვილი - 34 წ.

— თითო ცხვარს აი ფაოაში სიტე აქვს თითო მეტრი,

წამალი არ გვადირსეს, არც უველის თერმომეტრი...

ნუშუ მავაპარიანი.



სოფ. ქახვერელის (გორის რაიონი) 7 წლელის შენობას ოთხი წლის წინად ჩაუყარეს საძირკველი, მაგრამ ჯერ კელღებიც არ აუშენებიათ.

—ეი... გაღწილი ავტოდან, თვარა სულ ზღირივით გაგინდი ცხვირს! ყვიროდა ხონის „სოიუზტრანსთან“ მღვიმი მოქალაქე და ვილაცს უწმარად ემუქრებოდა. იქვე შორი-ახლო იდგა ვილაც მოხუცი დედაკაცი და მის წინ დამოქილი ხელდაპრობით პირველად იწერდა, როდესაც ქ. ხონის ავტომობილების არტელის გამგეს—სარდიონ უგულავას მივუახლოვდი. სარდიონი ეცა ახალგაზრდა მგზავრს და ავტოდან გადმოგდება დაუპირა.

—რაშია, ამხანაგო—სარდიონ, საქმე?—შევეკითხე მას.

—„არიფებისათვის“ არ გვცალია! ან გადმეიღე ეს ტომარი და ან 25 მან. „შტრაფი“, თვარა ჭიბიდან ზოლს გაგადენ!—ემუქრებოდა სარდიონი მეორე მგზავრს, მოხუც დედაკაცს.

მოხუცს მივუახლოვდი და წამოვაცეხე.

—რაიზა ხარ დამოქილი?

—რაიზა შვილო და სარდიონე ჩვენ „ლნერთია“, რაფერაც უნდა, ისე გვაქცევა მგზავრებს, ტყავი ორკეცად გაგადნო, ახლა ტყავიდან ქონიცი უნდა ავგართვას!—ცხარობდა დედაბერი.

—ქონი, თვარა მამა გიცხონდა შენც ისეთი მსუქანი ხარ, რომ რა უნდა აგართვა გაძვალტყავებულ დედაბერს!—დამცინავი კილოთი მიუგო სარდიონმა და „გაძვალტყავებულ დედაბერს“ რიგ გარეშე კიდევ აართვა 15 მანეთი...

შუთავო რწმუნებული

სარდიონისაგან გაწიწმუნებული ხონის საგანეთო ბიუროს ვეწვიე.

—ლიტვინოვი გამოსულა ცაკის მე-4 სესიაზე. ა... ავერ სწეროა.—ეუბნებოდა კოლმეურნე ვლენი თავის მეგობარს და ახალ გაზეთს აწოდებდა.

—ახალია მერე ბოშო მაგი?

—ახალია ამ წუთში მევიდა, ამ შინუთში!—დინჯად და დამარწმუნებელ კილოთი ამბობდა იგი და „ახალ“ გაზეთს გაფაქრიცებით ჩასწერებოდა.

—ერთი გაზეთი მომყიდეთ.. მივუბრუნდი ხონის საგანეთო ბიუროს რწმუნებულ კაკელიას.

—გასაყიდი არ არის... მორჩა და გათავდა, თუ მოთმინებიდან გამომიყვანთ მერე მე ვიცი.

—რას ცხარობთ, ამხანაგო, გაზეთს გათხოვთ, სხვას ხომ არაფერს?!

—ვიც ხართ თქვენ, თუ მინდა გაყიდი, თუ არ მსურს — არა!..

—გრიშკო, ჭირომე ახალი „კომუნისტი“ მოვიდა!



— რა არის, კაცო, რომ 4 წელიწადია აშენებთ ამ შვიდწლელს და ვერ ააშენეთ!
საბჭ. წმინტი:— შე დალოცვილო 7 წლელს 4 წელში როგორ ავაშენებთ?!

—ეი, ჩემო ციციანაფლა!—უბასუხა კოლიამ და მართლაც ახალი გაზეთი მიაწოდა. ქალმაც საფულოდნ სწრაფად ორი შაურის ამოიღო და რწმუნებულს მიაწოდა.

—ამხ. კეკელია რამდენი დღის გაზეთი დაგიგროვებიათ. რა არის მიზეზი, რომ ხელის მომწერებს დროზე არ მოსდით გაზეთები?—შემოვიღა ვილაც კარგად ჩაცმული მოქალაქე.

—ამხ... ავერ ხუთი დღე გავიდა და არც ერთი გაზეთი არ მომსვლია!

—ამხ... კეკ...
—თფუი... თქვენ „ადამიანობას“—

გაჯავრდა უთავო რწმუნებული რომ უეცრად რაღაც სიმღერასავით ხმა მოისმა, მაგრამ არც სიმღერას გაედა და არც ტირილს:

„ორი ქოთანს გაგყიდე... ვაი...“

ოღელია, რაშო—ტერა... ვაი...“

სამი მანეთი გამხდარა... ვაი...“

„კომუნისტის“ გამოწერა... ვაი...“

ეს გახლდათ პირველი უბნის გაზეთების დამტარებელი კოლია ბანტაძე, რომელიც საღლაც სამიკიტნოში გაღვნილიყო და ძლივს მიბობლავდა...

შამაჩეის ვაჭრული ჟნარი ცკლე ზლად ვაღმომეცა, მაგრამ შამაჩემს მაინც მე ვვკობიფარ; ის რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, ამ პირობებში, ჩემდენს ვერ შესძლებდა. „26 კომ. სახლთა ტიესტის“ მთ. ბუხ-პალტერი ვარ, აბა გინ რა უნდა იფიქროს ჩემზე? მე და ცხონებული ტრესტის დირექტორი რამდენ კომბინაციებს ვაკეთებდით, მაგრამ შერ ცხვენილმა თავი მივიკლა... არ ვამარ თლებ მის თვითმკვლელობას, რა უყოთ მერე, რომ საქმეები არეული შქონდა?! მე მასზე აღრე უისა მომეკლა თავი! მაგრამ რას ვამბობ!.. საცოდავი ლუკას სახელი, როგორ უნდა დავიფიწყო? ძვირფასი ლუკა! იმან მაჩუქა ახოსპირელის ქუჩაზე ერთი ოთახი... რად მინდოდა მე ზედმეტი ოთახი, როცა ავლევის ქუჩაზე სამი ოთახი მაქვს?! განა მას ცოტა ანგარიშები ქონდა ჩემთან გასასწორებელი? დიახ, „გლავებუხი“ ვარ, პატივი მცა, პატივი გეცი!

ესლა სამეული ამკიდებია და მებ ზძვის:

— გინდა თუ არა, ბინა უნდა დაცალო!

— ვინ არის სამეული? გინ კითხავს მათ ნაჩუქარ საქონელში შეცდომებს? რა უყო მერე, თუ ახოსპირელის ქუჩაზე მობინადრეთ გწერივარ და ავლევის ქუჩაზე ვცხოვრობ? ეს ყველამ იცის. ვაიფის პასპორტიზაციის დროსაც, მაგრამ გინ რას დამაკლებს: თავლში ხელი მაქვს და სხვას ვაელოკეინო? არა, სამეულო, ცდები! შენს ჯინაზე ტრესტს სამ ოთახს უფრო ვალამაზებინებ ავლევის ქუჩაზე და წყალსადენიცი ვამყავს მათ ხარჯზე; ეს მაშინ, როცა პირველ სართულს საძირკველი გამონგრეული აქვს და მისთვის ყურადღება არაეის მიოქცევია...

რადგან პასპორტიზაცია უკვე დასრულდა, ახლა მე აღარ გმაღავ, რომ მინდა ერთ-ერთი ბინის ვაყიდვა. ვფიქრობ, რა ამის უფლება მაქვს, რადგან ბინა ტრესტის მიერ ნაჩუქარია. ვეძებ ხვირიან მუშტარს და ნიანგის რედაქციას ვთხოვ მის ყურნალში შემდეგი განცხადება მომიდავსოს:

ყვიდი ტრესტის მიერ ნაჩუქარ ოთახს. ახოსპირელის შესახვევი № 3. პირობების ვაგება: ავლევის 1-ლი შესახვევი № 6, ილია მუსივი. ვაფათია.



— ვის უბედავ შენ ხმამალა ლაპარაკს?... მე დელეგატად მგზავნიან კონფერენციაზე!

— ში! უუნის კონფერენციაზე... უკაცრავად, დიდი ვინმე ყოფილხართ.

საჩხუბრის ფოსტა

ფოსტაში ხდება ამბავი ყველასთვის გასაკვირია, ველარ ვლებულობთ ვაზეთებს შენი ჩახვალე გვჭირია.

მასვე შეიძენი განაგებს, ჩვენში ცნობილი გმირია, ფოსტაში კაცი ვერ ნახავს ლენისკენ მიაქვს ცხვირია.

სამრია.

იბეჭდება და უახლოეს დროში გამომავა რიონისის მუხეალოვის ერთდროული ტექნიკური ბიულეტენი:

რიონკუსი

(რუსულ და ქართულ ენაზე)
აბს. ვ. ჯიშინის რედაქტორობით.

ჟურნალის ფასი 5 მან. (რუსული გამოცემის — 6 მან.). ჟურნალის შეძენა შეიძლება ვაზ. „რიონისის დამკვერელის“ რედაქციაში.



დასკვნა

ოჯახში, აგრეთვე უკმა-
ჯურით და დაკმაყოფილებით
საზოგადოებრივ
წარმომადგენლის შუამდგომლობა
და რაიონის ჩაის ზოგიერთი პლან-
ტაცია მოსახლეობის მათ გადასაცე-
მად უკმაყოფილებით მუშაობა გაჩაღებულია
კანონების დამკვირვებელი ბრძოლის
წინააღმდეგობა და იმდენივე დიდი
ოსტატობით
და მართლაც ასეთივე მწვენივ
თაობისა და ყოვლიანობისაგან ჩაის
ბრძოლის კამერების დამკვირვებელი
დამ მუშაობაში გამოიწვია დრო-
ბის უკმაყოფი, მოსახლეობისა
და მუშაობის დიდი მუშაობის
გაჩაღება.

დასკვნა

გუბერნიის, (ჩონხატაურის რაიონის)
დიდი ხნის კვლევებით მუშაობა
კომპლექსურ იქნა უკმაყოფილებით
კარგულად კობ. თავმჯდომარე. რი-
გორც გამოიჩინა უკმაყოფილებით
ყოფილა, „სატრფოს საძიებ-
ლად“. თავმჯდომარე ბირობა და-
ნია, რომ იგი ამიერიდან სამსახურში
ყოფილ დღე გამოიჩინდება, ხალხს
წარმოადგინა მოქმედობა და იწ-
რუნებს კობ. მომარაგებისათვის.
გუბერნიის.

თავმჯდომარის სამართალი

აღბული. მოხდა რაიონის მას
წავლავებელთა საჯარო კრება, რი-
მელმაც მოიხმინა სას. საბჭოს თავ-
მჯდომარის დადგენილება მათთვის
თანამშრომელი ნორმა პურის ფქვილის
მიცემის შეწყვეტის შესახებ. კრება
აღფრთხილებით მიიგება დადგენი-
ლებას და ბირობა დასდო თავდ და-
ანებონ ამიერიდან ჭამას, როგორც
ზედმეტ რაზეს, დადგენილების წი-
ნააღმდეგ გაილაშქრა ერთმა „ლორ-
მუცვლა პედაგოგმა“, რომელმაც გა-
ნაქადა: „ადამიანისთვის ჭამა-სმა სა-
ჭიროა და სას. საბჭოს დადგენილება
უკმაყოფილება“.

გორაკული

გვიან, ვიდრე არასოდეს

სოფ. შრომა. (თავადების რაიონი)
კოლმეორეობის თავმჯდომარის და
გვაბავდის აზრად ჩქარ თავი და-
ნებოს დაუბობას და მისცეს კოლმე-
ორე ფლავებს მათ მიერ დამუშავე-
ბულ შრომა დღეების მიხედვით უ-
თენილი ხორბლეული. ფიქრობენ,
რომ ახლო ხანში გამოიღვიძებს თავ-
მჯდომარე და ასროლებს თავის
მოვალეობას.

ბურჯანაული

ბირობა მოვეც ნიანგო
საქმილო ვგზავნო მარადა
არ ვაგზავნო ორგული
არც მთაში აღარც ბარადა
ბირობას უნდა საქმე და
მას გამართლება სჭირია,
მსურს თიანეთის მოვეწრო
სიკეთე - ვასაჭირია.

2.

რაი-მიწვანის „მოხელე“
(ხუნდაც იყო გვარადა)
მივლინებაში წავიდა,
იარა მთებად და ბარად
ქალაქ ტფილისში ჩავიდა
იბაქებოდა დიდადა
საქმისთვის არა, საწერი
მანქანის ვასაყიდათა.

თიანეთის კარხანაა
ერთი, — სე-ტყის სახერხს
სათავეში იმ ქარხანას
იქვე უდვას მეტად ავი.

სიხამვილი არის გვარად
და სახელად იაკოვი
ვექსი თვეა „მივლინებელი“
ტფილისში იგი ძყოფი.
თაღა მიწა- თიანეთის
კოლმეორეობაში გადავცოცდი
იქ მოვინახე ჩვენი ლექსო
(სისაური არის გვარად)
დღისით თვრება, და ღამით კი
დათარეშობს მთად და ბარად.
მან სათესლად შენახული
მთლად დალაპო კარკოფილი
გაუბერწდა „მეტი ხ. რგით“
მას ღორები ხუთა წყვილი.
თან ორ ფუთ ყველს (ქვრის ფერმი-
დან

საიდუმლოდ „ყლაპი უქნეს“
თიგა—გარდ დააბოქს და
უღარდელად ჩაუბეჭნეს.

5.

რაილმასკომში მდივანობს
სისაური იოსია
მსახურა შორის, მოვასტინებ.
კული დათის მასზე ხმები).
ხშირად თვრება და ჭოჩაში
დათარეშობს, როგორც მეგობრ
მას რომ ხედავს, შიშით გარბი
გამგლიოი და გამომგლიოი.
გელა გუგლია.

მუდამ გადავრქულია

აბაზა

კოლმეორეობის მსურს შეიგნებო,
მით ვარ ვახასყარები,
დილით პურის რიგში ვცდებო
და ძლივს ვიღებ წვალბით.
ვერ მოხერხდა და არ იქნა
მისი მოწესრიგება,
რვა საათის მაგიერად

თორმეტსე აღივს იღება!
წერტის გამგე „მონადირე“
მუდამ დასდევს მურობას
და უშვერად იგინება,
როცა გადაკრულია!

ქარინანი

გორაკული

კირკიტას (ბორული ზესტაფო-
ნის რაიონი). იწერებთ:
იქნებ არ დაიჯერებთ
თქვენ ამ აზრავს მკითხველო,
სამიკითხვით ვადაიქვა
ძარტლის სამკითხველო,
მართლაც არ დავიჯერებდათ,
რომ ლექსს ქვევით მოყვანილი ტა-
ვებიც არ ახლდეს, რომელიც სამ-
კითხველოს გამგის და მისი დაქვე-
მების კულტურულ საქმიანობის მა-
ჩვენებელ ფაქტებს გამოხატავს.

შალვა გველესიანი
სამკითხველოს განაგებს,
და ყოველდღე თავს უყრის
იქ ამქრებს აზრანაგებს,

და ხუხავს ძირამდის
ღვივს ჩაის ჭიჭიდან,
ბრუნდებიან ბარბაცით,
მკითხველები იქიდან.
გუზანძალს: (აქვე). აი საუვე-
თქო იაწყვეტი თქვენი ლექსიოან:
მოდის გზაფხული,
სად მე სადგურია?
მტკვრის ხიდი შენდებო
სადაც სადგურია.

ბუხანკა, ია მაგიერად ფსევდონა-
მად ვირთხას ვირთვედით, მაგრამ
სამწუხაროდ ვირთხები სხვის რით-
ქებს და სკრითთ ლექსებს არ იბა-
რვენ.

„ჩვენ ხშირად გვქონდა ისეთი შეხვედრები, როცა საქონელი და პროდუქტი ცოტა არ იყო. მაგრამ ისეთი არა თუ აღწევდენ მომხმარებელამდე, არამედ ულობით განავრძობდნენ სეირნობას ბიუროკრატიულ ხვეულებში“ (სტალინი).

ნახ. თოდის.



დიდი ხანია დავდევ და ვერ დავიჭირებ თქვენათნეტავი ვინა დასწავლიათ ასეთი მარტივობა?

ვაფრინდი ჭრელო პეპელა, ვაფრინდი ნელა-ნელაო. ბიუროკრატი ვინც არის შენ გენაცვალოს ყველაო.